გასინჯა რწმენის გემო იმან, ვინც კმაყოფილია ალლაჰით, როგორც ღმერთით. ისლამით, როგორც რელიგიით და მუჰამმადით, როგორც შუამავლით

გადმოცემულია ალ-აბბაას იბნ ალ-მუტტალიბისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან გაიგონა, რომ შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «გასინჯა რწმენის გემო იმან, ვინც კმაყოფილია ალლაჰით, როგორც ღმერთით. ისლამით, როგორც რელიგიით და მუჰამმადით, როგორც შუამავლით».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ მორწმუნე, რომელიც გულწრფელია თავის რწმენაში და რომლის გულიც მშვიდია რწმენით, საკუთარ გულში განიცდის გახსნილობას, სიმშვიდეს, სიხარულს, სიტკბოებასა და უზენაესი ალლაჰის სიახლოვის სიტკბოს, თუ ის იქნება კმაყოფილი სამი ძირითადი საკითხით: პირველ რიგში: ის კმაყოფილია ალლაჰით, როგორც თავისი პატრონით და მეურვით რაც ნიშნავს, რომ მისი გული მშვიდია ალლაჰისგან მოსული ყოველგვარი განგებით, იქნება ეს ცხოვრებისეული ულუფების განაწილება თუ მდგომარეობათა ცვალებადობა. მას გულში არ უჩნდება შეპასუხება ალლაჰის განგების მიმართ და არ ეძებს სხვა უფალს უზენაესი ალლაჰის გარდა. მეორე: ის კმაყოფილია ისლამით როგორც თავისი რელიგიით, რაც ნიშნავს, რომ მისი გული მშვიდია ისლამის მიერ დაწესებული ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების მიღებით. იგი არ ცდილობს ისლამის გზის მიღმა რაიმე სხვა გზაზე სიარულს. მესამე: ის კმაყოფილია მუჰამედით როგორც თავისი მოციქულით, რაც ნიშნავს, რომ მისი გული მშვიდია და სიხარულით სავსეა ყველაფრის მიმართ, რაც მოციქულმა მოიტანა, ყოველგვარი ეჭვისა და მერყეობის გარეშე. იგი მიჰყვება მხოლოდ იმას, რაც შეესაბამება მუჰამედის გზას და სწავლებას.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/65116